სკანდალური დაპატიმრებიდან სოფლის მეურნეობის სისტემაში

გვ. 3

ტროტუარისა და სტადიონის მშენებლობის საკითხი კვლავ გაურკვეველია

გვ. 2

დევნილებისთვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა გრძელდება

გვ. 5

ჭოპავარი თბილისელებში

fasi 50 TeTri # 7 14 - 21 aprili 2014 weli gamodis samSabaTobiT

„ეი პი ემ„ ტერმინალის მონოპოლიური გადაწყვეტილება და სოციალური კრიზისი ქვეყნის საზღვაო კარიბჭედ წოდებულ ქალაქში

გვ.6

მურად შამათავამ და ცხრა წევრმა პარტიაც დატოვა და კოალიციაც

თეონა ჯანაშია

სენაკი

პარტია „თავისუფალი დემოკრატების" სენაკის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მურად შამათავამ პარტია და კოალიცია პარტიის გამგეობის ცხრა წევრთან ერთად დატოვა: „კოალიციაში შემავალი პარტიების გადაწყვეტილებები ჩვენთვის მიუღებელია, რადგან მათ მიერ ხდება იგნორირება იმ ადამიანების, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ წინა ხელისუფლების შეცვლისთვის. საოცარია, რომ ამის პარალელურად კოალიციაში შემავალ პარტიებში ის ადამიანები პორტირდებიან, რომლებიც მანამდე ჩვენ გვებრძოდნენ, გვივარდებოდნენ ოფისებში, გვართმევდნენ მანქანებს, ციხეებში გვსვამდნენ და რა ვიცი რა აღარ გადავიტანეთ. ეს ზუსტად ის ჯგუფი გახლავთ, ბიძინა ივანიშვილს ზუგდიდის შესასვლელთან ქვებით დატვირთული მანქანებით რომ დახვდა. ეს ხალხი ჩვენ ყველანაირად გვავიწროვებდა წინასაარჩევნო პერიოდში. ამ ხალხმა გააუბედურა და დააქცია ჩვენი ქვეყანა და ახლა როგორ შემიძლია ამ ხალხის გვერდით დავდგე? ამიტომაც ვტოვებ პარტიას და კოალიციას ერთდროულად. „ქართული ოცნების"კოალიციის როგორც მაჟორიტარულ, ისე პროპორციულ სიაში პირველი ათეულიდან რვა სწორედ ეს ადამიანები არიან. გამგეობის თერთმეტი წევრიდან ერთის გარდა, რომელიც მათ სიაშია და მოიაზრება მათ ჯგუფში, ტოვებს პარტიას. ჩრდილში ყოფნას არ ვაპირებთ, ჩვენი ქალაქის ბედი წყდება. ჩვენ მივალთ იმ ძალებთან, რომელიც ქვეყნისთვის სიკეთეს მოიტანს. ერთ-ერთი ასეთი ძალა, ვფიქრობ, არის "ბურჯანაძე–ერთიანი ოპოზიცია". მე ჩემს ადგილს იქ ვხედავ და მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. რაც შეეხება ბურჯანაძის საგარეო კურსს, გეთანხმებით, სრულიად საპირისპიროა ალასანიას პარტიის კურსისგან, მაგრამ დღეს წყდება ჩემი ქალაქის ბედი და ეს ამ ეტაპზე ყველაზე მთავარი საკითხია ჩემთვის. დანარჩენს შემდეგ მივხედავთ. არა მგონია, ქალბატონ ნინოს ქვეყნის დაქცევა უნდოდეს"- განაცხადა მურად შამათავამ.

ჩვენ კომეტარები ვთხოვეთ დანარჩენ შამათავასთან ერთად პარტიიდან წასულებსაც: „ გამგეობის სხდომაზე ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ არ ვეთანხმებით კოალიციაში შექმნილ სიტუაციას - მათ სიაში აღმოჩნდნენ ის პირები, თანაც პირველ ნომრებად, რომლებიც ჩვენ გვებრძოდნენ აქტიურად და "ნაციონალური მოძრაობის თავგადაკლული წევრები იყვნენ. ის ადამიანები,რომლებიც ატერორებდნენ ჩვენს ამომრჩევლებს, ჩვენს აქტივისტებს. ხალხს იჭერდნენ და ყველაფერს კადრულობდნენ, რომ ამომრჩეველს

გაგრძელება 4-გვ.

როგორ ემზადებიან პოლიტიკური სუბიექტები ადგილობრივი არჩევნებისთვის

გვ. 3

სენაკში არასამთავრობოებმა თვითმმართველობის კოდექსი განიხილეს

გვ. 2

ფოთელი ხელბურთელები საქართველოს ჩემპიონები გახდნენ

გვ. 7

აქ თქვენი რეკლამის და

მცირე განცხადებების ადგილია

gamomcemeli da direqtori
inga gvasalia -
599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

redaqtori
elza Sonia -
598 622 807

სტილისტ-კორექტორი -
maia CxeiZe -
591 145 709

დისტრიბუციის სამსახურის უფროსი
inga WiTanava
597 39 19 72

კორესპონდენტები:
Teona janaSia (senaki)
592 61 33 14
giorgi seskuria (zugdidi)
555 14 76 24
ana SongiraZe (Cxorowyu)
599 88 97 17

gamoqveynebuli masalis Sinaarsi SeiZleba ar emTxveodes redaqciis Tvalsazriss. statiis avtorebi Tavad ageben pasuxs informaciis sizusteze. redaqciaSi audio masalebi inaxeba ori kviris ganmavlobaSi, am vadis gasvlis Semdeg pretenziebi ar miiReba.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2013 წლის ბოლოდან 7 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია. და ზღრულ ნიშ-

ნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეენბის მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -1,74 ლარი ღირს, ერთი ევრო - 2,3 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

ტროტუარისა და სტადიონის მშენებლობის საკითხი კვლავ გაურკვეველია

ელზა შონია
ფოთი

გასული წლიდან სახელმწიფო ტრანსფერით დაფინანსებული ორი პროექტი - ფოთის მთავარი სტადიონის და აღმაშენებლის ქუჩის ტროტუარების მშენებლობის საკითხი ისევ გაურკვეველი რჩება. ტენდერში გამარჯვებულმა ორმა კომპანიამ "ნიუ ქონსთრაქშენი" და "მოდერნ სერვის საქართველო" კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. როგორც უკვე ცნობილია, შესყიდვების სააგენტომ გააფრთხილა ორივე კომპანია, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. მზღვეველ კოპანიებს დაეკისრათ პირგასამტეხლოსა და ავანსის თანხების უკან დაბრუნება, თვითმმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება, გამოაცხადოს ახალი ტენდერები. ბოლო ინფორმაციით, მშენებლობის სამსახურმა მიმართა ისევ შესყიდვების სააგენტოს, საიდანაც პასუხი ჯერ არ ჩანს. მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი ილარიონ მელქაძე როგორც ამბობს: "სააგენტოს მივმართეთ, გაგვცენ პასუხი ამ კომპანიების შავ სიაში გადაშვებასთან დაკავშირებით, როგორც გაირკვა, სააგენტოს ასეთი სადავო 300-მდე საკითხი აქვს, ამიტომ ვერ გვიკონკრეტებენ, როდის გაგვცემენ პასუხს. ჩვენმა სამსახურმა სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეების შესახებ დასვა საკითხი ქალაქის ხელმძღვანელობასთან, შეიქმნას კომისია ჩატარდეს ექსპერტიზა შესრულებული სამუშაოების დასადგენად, დათვლილ იქნეს ხარჯი და გამოეკლოს იმ თანხას, რაც თავიდან იყო ნათქვამი და გამოცხადდეს ხელახალი ტენდერი იმ მოცულობით, რაც იყო გათვალისწინებული".

ჯერჯერობით სხვა სიახლე ამ თემაზე არ არის, თუ არ ჩავთვლით "მოდერნ სერვის საქართველოს" კონტრაქტის ვადის გაგრძელებას მიმდინარე წლის 30 ივნისამდე, რადგანაც მას შემოტანილი აქვს მასალების 80%, თვითმმართველობამ უფრო მართებულად მიიჩნია, არ გამოაცხადოს ტენდერი და ამავე კომპანიამ მიიყვანოს ბოლომდე აღებული ვალდებულება. რაც შეეხება სანქციებს, ისინი კვლავ ძალაში რჩება.

ტროტუარების მშენებლობა კი ჯერ ადგილიდან არ დაძრულა. ტროტუარზე დასაგები ფილების ნაწილი პირდაპირ ქუჩაში აწყვია, ხოლო ნაწილი "კორსტანდარტბანკის" ეზოში.

სენაკში არასამთავრობოებმა თვითმმართველობის კოდექსი განიხილეს

თეონა ჯანაშია
სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველომ» ადგილობრივი თვითმმართველობის, მედიასთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრის დასაწყისშივე გაირკვა, რომ ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს» ზუგდიდის წარმომადგენელთან ერთად ჩამოსულნი იყვნენ ასოციაცია ,,ათინათის» და სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების ცენტრის წარმომადგენლებიც. შეხვედრის თემა თვითმმართველობის კოდექსი გახლდათ. ,,დღეს სენაკში სამი არასამთავრობო ორგანიზაცია თვითმმართველობის ახალ კოდექსში შეტანილი ძირითადი სიახლეების განსახილველად ჩამოვედით. ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე და საკითხია, რომელთა მიმართაც გვაქვს შენიშვნები, რეკომენდაციები. ჩვენ გავმართეთ საინფორმაციო შეხვედრები სამეგრელოს, დაახლოებით, ასზე მეტ სოფელში და უკვე ვმართავთ უშუალოდ გამგეობებში, საკრებულოებში შეხვედრებს, რათა ამ ადამიანებისგანაც მოვისმინოთ მოსაზრებები კოდექსთან დაკავშირებით. საბოლოოდ, გვინდა, ხელისუფლებას შევთავაზოთ ის რეკომენდაცია, რისი ასახვაც თვითმმართველობის კოდექსში გვსურს. ჩვენი არასამთავრობოს აზრით, კოდექსს აქვს ორი პოზიტიური სიახლე, ის, რომ გამგებლები და მერები აირჩევიან პირდაპირი წესით და მეორე - გრძელვადიან პერიოდში უნდა გაიზარდოს ფინანსების მოცულობა ადგილობრივ ბიუჯეტებში. სხვა ყველა საკითხთან გვაქვს შენიშვნები. მაგალითად, მერის უნდობლობის გამოცხადების საკითხი დაურეგულირებელია და გადაყენება შეიძლება მოხდეს პოლიტიკური ნიშნით. ასევე, სოფლის დონეზე ჩვენ ვერ მივიღეთ ვერანაირი სახის თვითმმართველობა. ასევე, რეალურად ამ ახალი კოდექსით მოსახლეობა ვერ უახლოვდება თვითმმართველობას. ვფიქრობთ, კოდექსის მიღება დაგვიანდა. ხელისუფლებას უნდა ჰქონოდა მეტი დრო ყველა იმ ცვლილების განსახორციელებლად, რაც კოდექსში იყო ჩადებული»-განაცხადა ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს» ანალიტიკოსმა არჩილ თოდუამ. ,,იმ პლიუსების სიმრავლემ, რაც თავიდან იყო ამ კოდექსში, იკლო, თუმცა თვითმმართველობის კუთხით გარღვევა არის. კარგია, რომ ერთიან კანონმდებლობაშია მოქცეული სხვადასხვა გაბნეული კანონები, სულ მიწევდა ძებნა სხვადასხვა კანონებში, რათა დაგვეცვა თვითმმართველობის კოდექსი. ახლა ეს ყველაფერი ერთ ბუდეშია მოქცეული. ნაბიჯი გადადგმულია და ბევრ ნაბიჯს ველოდებით კიდევ მე გული დამწყდა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი არ დაიყო ქალაქი და ზედა და ქვედა მუნიციპალიტეტებად, რითაც მეტი ურთიერთობა ექნებოდა მოსახლეობას მუნიციპალიტეტთან. ხალხის ჩართულობა იქნებოდა მეტი. 2017 წლისთვის იქნება ასე. ასე რომ, ჩვენი მოსახლეობა უნდა მოემზადოს ამისთვის. ის იყოს მმართველი იმ თავისი მუნიციპალიტეტის, რომელიც ცალკე წავა. კარგია, რომ ყველა არასამთავრობო სტრუქტურა ჩაერთო ამ საქმეში. თვითმმართველობა არის ის, რისგანაც იწყება ყველაფერი»-გვითხრა სენაკის მუნიციპალიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ ბესიკ ნარმანიამ. შეხვედრა დებატებით დასრულდა.

მოხეტიალე წიგნები ფოთში ჩამოვიდნენ

ელზა შონია
ფოთი

რამდენიმე კვირის წინ დაწყებულ აქციას "მოხეტიალე წიგნები", რომლის ავტორი ახალგაზრდა მწერალი ჯაბა ზარქუა გახლავთ, ფოთიც შეუერთდა. ჩვენს ქალაქში იდეის ინიციატორი ემზარ კვარაცხელიაა. აქცია ახალგაზრდებში წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით, რამდენიმე კვირის წინ დაიწყო და უკვე თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. აქციის მონაწილეები თავიანთ წიგნებს ტოვებენ გაჩერებებზე, პარკებში, სკვერებში და სხვა საჯარო ადგილებში. წარწერიანი წიგნები მპოვნელს გულგრილს არ ტოვებს - აუცილებლად აიღებს და წაიკითხავს. "გამარჯობა, მე მოხეტიალე წიგნი ვარ, ჩემმა პატრონმა სახეტიალოდ გამომიშვა, წამიკითხე და ისევ დამაბრუნე, გამიშვი ახალ მკითხველთან, არ დაგავიწყდეს მიაწერო შეხვედრის დრო და ადგილი". მსგავსი წარწერით წიგნებს უკვე ჩვენს ქალაქშიც იპოვით. აქციას 8 აპრილს შეუერთდნენ ხელბურთის სკოლის სპორტსმენები, ასევე ფოთის ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელმაც 19 წიგნი გადასცა მოსწავლეებს "მოხეტიალე წიგნების" აქციაში ჩასაბმელად. როგორც ფოთში აქციის ინიციატორი ემზარ კვარაცხელია ამბობს:" სოციალურ ქსელში შევიტყვე ამ აქციის შესახებ, ძალიან მომეწონა. ვფიქრობ, ქართველები აზარტულები ვართ, ეს ერთგვარი თამაშია, ერთდროულად სახალისოცაა და სასარგებლოც".

აქციაში ჩაერთო ასევე ფოთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. მისი ხელმძღვანელი ნანუკა ღურჯია იმედოვნებს, რომ აქცია დიდხანს გაგრძელდება, დააინტერესებს ახალგაზრდებს და მათ წიგნისკენ შემოაბრუნებს: "სასიამოვნო აქციაა, ძალიან სახალისო, სიამოვნებით ჩავერთე მეც და ვფიქრობ, ხელს შეუწყობს წიგნის კითხვის პოპულარიზაციას".

წიგნები სახეტიალოდ გაუშვეს მოსწავლეებმა, საჯარო პირებმა. მწერალმა ჭაბუკი ქოიავამ სახეტიალოდ გაუშვა აწ გარდაცვლილი ფოთელი პოეტის თენგიზ რამიშვილის "სამი დღე მაინც". ჩვენს ქალაქში უკვე "ხეტიალობენ" ჰიუგო, სერვანტესი, ოტია იოსელიანი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა ცნობილ ავტორთა გამოცემები.

თქვენც შეუერთდით ამ აქციას, ჩვენო ძვირფასო მკითხველო!

რუსთაველის რკალი სახეს იცვლის?

ელზა შონია
ფოთი

რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, დაუსრულებელი და შუა გზაზე მიტოვებული მშენებლობების მიუხედავად, ქალაქის თვითმმართველობა დამატებით კიდევ ითხოვს სახელმწიფოსგან, გამოყოს 2,5 მლნ ლარი რუსთაველის რკალის ტროტუარის მოსაწესრიგებლად და 5 მილიონი ლარი ფოთის კულტურისა და დასვენების პარკის მოსაწყობად. მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ინფორმაციით, ეს თანხებია საჭირო რუსთაველის რკალის კეთილმოსაწყობად, ახალი განათებების გასაკეთებლად. თუ ტრანსფერი გამოიყოფა, პარკში გაკეთდება სპორტული და გასართობი ატრაქციონები, სადრენაჟე სისტემები და განათება. ასევე წესრიგში მოიყვანენ ე.წ "კომანჩეროს" ტერიტორიას, რომლის მეპატრონემ უკვე წარმოადგინა ესკიზური პროექტი და, სავარაუდოდ, ზაფხულში შესაძლოა, იქაურობა მოწესრიგდეს. დაფინანსების შემთხვევაში შესაძლოა, ასევე გაკეთდეს პარკში ახალი შადრევანი. თვითმმართველობა ტრანსფერის მოლოდინშია.

როგორ ემზადებიან პოლიტიკური სუბიექტები ადგილობრივი არჩევნებისთვის

ᲔᲚᲖᲐ ᲨᲝᲜᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება და დროა, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები ამომრჩეველს თავიანთ შესაძლებლობებს აცნობდნენ, თუმცა ფოთში მსგავსი არაფერი შეინიშნება, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც. ფოთში ოფისი სულ რამდენიმე პარტიას აქვს გახსნილი. ჯერჯერობით მათგან მხოლოდ "ბურჯანაძე-დემოკრატიულმა მოძრაობამ"დაასახელა ოფიციალურად მერობის კანდიდატი. სხვა პარტიები ალბათ, ერთმანეთის მოლოდინში დუმილს ამჯობინებენ და რაიმე კონკრეტულის თქმისგან თავს იკავებენ, მათ შორის მმართველი გუნდიც. კოალიცია "ქართული ოცნების" ფოთის საქალაქო ორგანიზაციაშიც "არ იციან", ვინ იქნება მათი გუნდიდან მერობის კანდიდატი, ასევე ასაიდუმლოებენ პარტიის წევრთა რაოდენობასაც. კულუარული ინფორმაციით, "ოცნებამ" შესაძლოა, კანდიდატად მაჟორიტარის ბიუროს უფროსი დავით ბუკია დაასახელოს, ფოთელები თვეებია საუბრობენ ირაკლი კაკულიას გამერების შესახებაც, თუმცა ითქვა ისიც, რომ შესაძლოა მაჟორიტარმა სულ სხვა პიროვნება დაასახელოს. პარტიის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ირაკლი კაკულია თავს იკავებს კონკრეტული სახელებისა და ციფრების დასახელებისგან. როგორც ის ამბობს: "ჯერჯერობით არ არის ცნობილი კანდიდატები. ვმუშაობთ სიებზე. მსჯელობის დონეზეა ჯერ ყველაფერი, რადგან ქალბატონი ეკა ბესელია არის ჩვენი პოლიტსაბჭოს წევრი, მასთან ერთად განვიხილავთ საკითხებს და წარმოვადგენთ სიას. მიმდინარეობს შიდაპარტიული მუშაპროცესი, სულ ესაა, რისი თქმაც შემიძლია ამ ეტაპზე".

სანამ "ოცნებაში" შიდაპარტიულად ბჭობენ, კოალიციაში შემავალი პარტია "თავისუფალი დემოკრატები" ცდილობს მეტი მხარდამჭერი მოაგროვოს. 2013 წელს 15 აპრილს დაფუძნდა პარტია, ფოთში გაწევრიანებულია 732 ადამიანი, ისინი ქალაქის მუნიციპალიტეტების მიხედვით არიან განაწილებული და ქუჩებისა და უბნების მიხედვით ჰყავთ თავისი აქტივი. 40 ადამიანი ითვლება პარტიის ძირითად აქტივად ფოთში, რომლებსაც ხშირი კონტაქტი აქვთ ოფისთან და ინფორმაციას იღებენ გამგეობიდან. "თავისუფალი დემოკრატების" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე თამაზ სოსელია როგორც ამბობს: "ჩვენ უკვე გვყავს ფოთში 2000-მდე მხარდამჭერი, ეს ქალაქის ხუთივე უბნიდან მოტანილი სიებითაა დადგენილი. ინტენსიურად ვმუშაობთ დევნილებთან, სადაც ჩამოყალიბებული გუნდი გვყავს როგორც ნაბადაში, ისე ახალ რაიონში. ჯერჯერობით არ არის დაწყებული საარჩევნო კამპანია, მაგრამ ჩვენ ინტენსიურად ვეცნობით მოსახლეობის პრობლემებს - სანიაღვრე სისტემა, კანალიზაცია, გაზის შეყვანასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე მალთაყვაში უკანონო შემოღობვა, იგივე კაპარჭასთან და პალიასტომთან დაკავშირებით. აქტიურად ვმუშაობთ მეთანოლის ქარხნის პრობლემაზე. როგორც კოალიციის შემადგენელი პარტია, აქტიურად ჩავებმებით საარჩევნო პროცესში. გამგეობაში გვყავს ძალიან პატივსაცემი და ღირსეული ხალხი, კანდიდატების მონაცემები გადაგზავნილი გვაქვს და ეს ჩამოყალიბდება უახლოეს დღეებში".

კანდიდატების ვინაობა ნაწილობრივ გაასაჯაროვა "ბურჯანაძე- დემოკრატების" ფოთის საქალაქო ორგანიზაციამ. როგორც უკვე ცნობილია, ამ პარტიიდან მერობისთვის იბრძოლებს ფოთის ყოფილი მერი დავით ქანთარია. გამოკვეთილია მაჟორიტარ კანდიდატთა სახელებიც, თუმცა ჯერ ბოლომდე ყველას ვინაობას პარტიაში არ ასახლებენ. როგორც ამბობენ, კამპანიის პერიოდში ფოთში ჩამოვა პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძე და პრეზენტაციაზე დასახელდება სრულად ყველა კანდიდატი. ჩვენთან საუბარში "ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობის" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე სევერიან შენგელიამ აღნიშნა: "შტაბი გახსნილია და მობილიზებულები ვართ. გეგმა დასახულია, დავალებები გადანაწილებული, გავიარეთ გარკვეული ტრენინგები და ვართ მოლოდინის რეჟიმში, რადგან არც ერთ სხვა პარტიას კანდიდატი არ დაუსახელებია, დაველოდებით, სხვა სუბიექტები როცა წარმოადგენენ თავიანთ კანდიდატებს, ვმუშაობთ გაწერილი გეგმისა და გრაფიკის მიხედვით".

რაც შეეხება მხარდამჭერებს, "ბურჯანაძე დემოკრატები" იმედოვნებენ, რომ ამ არჩევნებში უფრო მეტ ხმას მიიღებენ, ვიდრე აქამდე. ჩვენთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ მალთაყვის უბანში სიის პირველი ნომერი თავად სევერიან შენგელია გახლავთ.

მმართველი პარტიის მსგავსად არ ჩქარობს კადიდატების დასახელებას "ნაციონალური მოძრაობა" და აქაც მიმდინარეობს შიდაპარტიული სამუშაოები.

უკვე გარკვეულია "პატრიოტთა ალიანსის" ფოთის მერობის კანდიდატი. ეს იქნება ბიზნესმენი უშანგი გეგენავა. ფოთში იმასაც კი ამბობენ, რომ ფოთის მერობისთვის ფოთის თითქმის ყველა ყოფილი მერი იყრის კენჭს, თუმცა ოფიციალურად ჯერ არაფერია დადასტურებული. მეტი და უფრო დაზუსტებული ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა იმედია, უახლოეს მომავალში გვექნება, როდესაც ნათლად გაირკვევა ყველაფერი, პარტიები ბოლოს და ბოლოს ჩამოყალიბდებიან, საარჩევნო კამპანიას დაიწყებენ და გადაწყვეტენ, ვის ანდონ ადგილობრივი თვითმმართველობის ბედი და ვის სასარგებლოდ უფრო უპრიანი იქნება ხალხმა თავისი არჩევანი შეაჩეროს.

სკანდალური დაპატიმრებიდან სოფლის მეურნეობის სისტემაში

ᲛᲐᲠᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐ
ᲮᲝᲑᲘ

წინა ხელისუფლების დროს ხობის გამგებლის იგორ ტყებუჩავას დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია კარგა ხანს ჭორის დონეზე ვრცელდებოდა რაიონში და ბევრს უკვირდა გამგებლის ასე დაჭერა და გაუჩინარება. მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად არ ვრცელდებოდა, სანამ "რუსთავი-2"-მა არ ამცნო ქვეყანას, რომ ხობის გამგებელი საკუთარ კაბინეტში აიყვანეს ქრთამის აღების გამო. ახალი ხელისუფლების პირობებში სოფლის მეურნეობის დახმარების პროექტი ამოქმედა. ხობის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს იგორ ტყებუჩავას ახლა სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის რეგიონულ სერვისცენტრებზე დაქვემდებარებული სატრაქტორო ბრიგადების კოორდინირებულ მუშაობაზე მონიტორინგი და სახელმწიფო პროგრამის აგროვადებში შესრულების უზრუნველყოფა ევალება. მასთან საუბარი სოფლის მეურნეობით დაიწყო:

- dRes qarTuli soflebi friad savalalo mdgomareobaSi gaxlavT. gagvimarteT, ras moicavs mciremiwian fermerTa daxmarebis programa da rogor mimdinareobs proeqti regionebSi?

- "მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის" ბენეფიციარებს წელს ორი ტიპის ბარათი დაურიგდათ. მიწის დასახნავად სასოფლო-სამეურნეო ბარათები და საქონლის მისაღებად - აგრო ბარათები. პროექტის ბიუჯეტი, საქართველოს მასშტაბით, 90 მილიონი ლარია დაახლოებით 800 ათასამდე ფერმერებისათვის. ბენეფიციარები არიან ის ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში აქვთ ჰექტარი და 25 მეასედი ფართობის სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურებისათვის. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოებს, რომელიც ნიადაგის ხვნას და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურეობას გულისხმობს, კომპანია „მექანიზატორი" და 117 კონტრაქტორი შეასრულებს. პროექტი 1 თებერვალს დაიწყო და 1 აგვისტოს დასრულდება. სამეგრელო-ზემო სვანეთში 97 579 ფერმერს მოვემსახურებით, ესე იგი დამუშავდება 41 135 ჰა ფართობი.

- aris Tu ara teqnikiT uzrunvelyofili regionebi da ra samuSaoebia Sesrulebuli dReisaTvis?

- დამუშავებულია სავარგულების 30 პროცენტი. კარგი ამინდის დადგომასთან ერთად ინტენსიურად დაიწყება მუშაობა ყველა რეგიონში. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს დროის ამ მონაკვეთში ხვნა-თესვის სამუშაოები არ იყო დაწყებული. ამჟამად შემოყვანილია საკმაოდ მძლავრი ტექნიკა საკმარისი რაოდენობით. ყურადღება ექცევა თითოეული აგრეგატის ტექნიკურ გამართულობას და მცირე ხარვეზიც კი კონტროლზეა. ეს ყველაფერი სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინირებული მუშაობისა და მიმდინარე წელს გაწეული მნიშვნელოვანი სამუშაოების შედეგი გახლავთ.

- wels ukmayofilebaa imis gamo, rom gasul welTan SedarebiT daxmarebam iklo. ramdenad sakmarisad migaCniaT es daxmareba fermerebisTvis da ra saxis problemebi arsebobs, rac saxelmwifom samomavlod aucileblad unda gamoasworos?

- როგორც იცით, მე ვმუშაობდი ხობის გამგებლად, თუმცა მანამდეც საკმაოდ დიდი გამოცდილება მქონდა სოფლის მეურნეობის სისტემაში და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში მუშაობისა. ამიტომ ვთვლი, რომ შარშან მცი-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ 4-ᲒᲕ

სკანდალური დაპატიმრებიდან სოფლის მეურნეობის სისტემაში

დასაწყისი 3-გვ

რემიწიან ფერმერებს უფრო სჭირდებოდათ სახელმწიფოსაგან დახმარება, მათ შორის ინვენტარის სახით, ამიტომ სუბსიდირება ამ მიმართულებით წავიდა. უამრავმა ადამიანმა შეიძინა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი - შესაწამლი აპარატები, თანამედროვე მინი- სათიბები და სხვა,რაც არ არის ერთწლიანი მომსახურებისა. წელს, შესაბამისად, არც უნდა გათვალისწინებულიყო მათი შესყიდვა. ვთვლი, რომ ქართველ გლეხს თავისი ღირსებაც აქვს - ყოველთვის ხელგაწვდილი არ იქნება, აუცილებლად უნდა გახდეს დამოუკიდებელი. მთავარია, წლების განმავლობაში დაუმუშავებელი მიწები დამუშავდა, ფერმერს სტიმული მიეცა. სახელმწიფო ამაზე ნამდვილად არ შეჩერდება. ყველამ კარგად იცის, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამზადებს სერიოზულ აგრო-პროექტებს,რათა ფერმერი დამოუკიდებელი გახდეს. გაინტერესებთ, რა პრობლემებზე მოუწევს სახელმწიფოს ფიქრი? კი არ მოუწევს, სახელმწიფო რეალურად ემზადება. მჯერა, უახლეს მომავალში მეურნეობის მრავალფორმიანობის პირობებზე მისადაგებული მანქანური ტექნოლოგიების სისტემების ინტენსიური დამუშავება მოხდება, რომელიც უფრო მეტად გაითვალისწინებს საქონელმწარმოებლის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ტექნიკური საშუალებების გამოყენების ფორმებს, წესებს. ტექნოლოგიურ პროცესში ვგულისხმობ კლიმატურ-საველე პირობებს, აგრონომიულ, საინჟინრო და ეკონომიკური მეცნიერების უახლეს მიღწევებს, რაც ითვალისწინებს მიწათმოქმედების, მცენარეთა დაცვის, კომპლექსური მექანიზაციის, მელიორაციის, ქიმიზაციის, ნიადაგისა და გარემოს დაცვის უახლესი მეთოდების გამოყენებას. შემდგომში სახელმწიფომ ყველაზე მეტი ინვესტიცია სოფლის მეურნეობის სფეროს განათლების სეგმენტში უნდა ჩადოს, რადგანაც შესაბამისი ცოდნით აღჭურვილ ფერმერს კარგი პროდუქციის შექმნის გარდა, შეუძლია პროდუქციის შეფუთვა და სარეალიზაციოდ ბაზრის ანალიზის გაკეთებაც. ამასთან, კარგად მომზადებული ფერმერები უფრო ადვილად აუღებენ ალღოს იმ საექსპორტო შესაძლებლობებს, რაც მათ მიეცემათ სამომავლოდ, თუმცა ამისათვის აუცილებელი იქნება ფერმერთა ძალების გაერთიანება. ექსპერტთა აზრით, მათ სახელმწიფომ გამსხვილების რეალური შესაძლებლობა უნდა მისცეს. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია.

- Cven Tqvens dRevandel saqmianobaze saubrobT, magram sainteresoa ramdenad SeZeliT im tramvis gadatana, rac Tqvenma skandalurma daWeram mogayenaT?

- ამაზე საუბარი, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ძალიან რთულია. იმ მოქალაქეობრივმა და ადამიანურმა თვისებებმა გადამარჩინა, რის გამოც ჩემი დასჯა სურდათ. გადამარჩინა ჩემმა ოჯახმა, რადგან მწამდა, რომ მათ ჩემი სჯეროდათ. ყველასათვის ცნობილია, როგორ და რა სქემით მოხდა ჩემი აყვანა და ამაზე ახლა საუბარი საზოგადოებისათვის, ცოტა არ იყოს, დამღლელიც იქნება. ვინც ყოველთვის მიჭერდა მხარს, იცის ჩემი სიმართლე. დრომ ყველას მოსთხოვა პასუხი. დღესაც მიყვებიან, როგორ ავალებდნენ კომპრომატების გამოგონებას ჩემზე. ადამიანურად მესმის, რადგან იმ საშინელ დღეებში მეგობრებიც კი ვერ მეხმარებოდნენ. მე მათ გავუგე. არაერთ ინტერვიუში ვისაუბრე ამაზე და სიმართლეც უკვე დამტკიცებულია. რაც შეეხება მავან სინდის-ნამუსზე და პატიოსნებაზე ხელაღებულ ხერხემალგადატეხილ აგენტებს, ასეთები არც მეგობრად, არც მეზობლად, არც მეწარმედ, არც ადამიანად არ სჭირდება ქვეყანას. საერთოდ, სააკაშვილის ხელისუფლება იყო ბოროტება და ამიტომ ბოროტებას თავისი არსებობა უნდა დაემთავრებინა. ისე, ჩემი მწარე გამოცდილებისათვის სააკაშვილ-ახალაია-მერაბიშვილისათვის სამადლობელიც მეთქმის, რომ მანახეს, როგორ შეიძლება ორი კვირა ვერ გიმტკიცებდნენ და ხვეწნა-მუქარით, ტყუილით, არაადამიანური ფსიქოლოგიური ზემოქმედებით გაწერინებდნენ ხელს „თბილისიდან ბომბეიმდე გვირაბის გაყვანის“ აღიარებაზე, საკნიდან გაჰყავდეთ ღამის პირველ საათზე, გაცმევდნენ ბადრაგის „ბათინკებს“ , გამვლელის „პლაშს“ და სახელდახელოდ დგამდნენ სცენას, ვითომ ახლა ამ წუთას აგიყვანეს „საკუთარ კაბინეტში“, ახლა კი ეს ვაუბატონები ტელეეკრანებიდან ისე გვესაუბრებიან მორალზე და ისე გამოხატავენ აღშფოთებას, თითქოს ის არაადამიანური 9 წელი არც ყოფილიყოს ქვეყნის ისტორიაში. სააკაშვილსა და მის ირგვლივ მყოფ შერეკილებს ეგონათ, ხმაურიანი დაპატიმრებებით ფრთებს გამოისხამდნენ, მიწაზე ფეხს არ დააკარებდნენ და ამ ქვეყანას სამარადისოდ დაეპატრონებოდნენ, მაგრამ ასეთი უკანონო ქმედებებით გაებნენ მახეში. ბევრს ვფიქრობ იმ საშინელ ერთ წელზე. ძლიერი ნებისყოფა გამაჩნია. მაქვს საშუალება ჩემი პროფესიით, სიყვარულით და ცოდნით ისევ ვიდგე ქვეყნის სამსახურში. ახლა უფრო მეტად გავირჯები, რადგან ეს თავისუფლების საზღაურია.

- ratom ver SeZlo Tqveniidacva xobis maJoritarma?

- პირველ დღეებში მან შეუტია ჭაკუა-ახალაიებს, მაგრამ ამ უკანასკნელების თავხედობას საზღვარი არ ქონდა. გოდერძი ბუკია სხვა მაშტაბის ადამიანია. ის პოლიტიკას ნამდვილად ვერ შესწირავდა იმ საქმეებს რასაც რაიონისათვის აკეთებდა და აკეთებს. მანაც ამჯობინა დროებით "დაეჯერებინა" მათი არგუმენტები. მეგრული სიმღერის ფესტივალი შემდგომში უფრო გრანდიოზული გაიმართება. მანამდე კი უამრავი საზრუნავი გვაქვს, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა დავიხარჯო და ვაკეთო ის საქმე, რის გაკეთების შესაძლებლობას ჩემი პროფესია და გამოცდილება მაძლევს. ამის შესაძლებლობა კი ბიძინა ივანიშვილმა და ყველა იმ ადამიანმა მომცა, ვინც არჩევნებზე "ნაცმოძრაობას" უარი განუცხადა.

- gmadlobT, gisurvebT warmatebebs Tqven da fermerebs xvavriel mosavals...

მურად შამათავამ და ცხრა წევრმა პარტიაც დატოვა და კოალიციაც

დასაწყისი პირველი გვერდიდან

"ნაცმოძრაობისთის" მიეცა ხმა, ან საერთოდ არ მოსულიყო არჩევნებზე. ეს ხალხი დღეს "ქართული ოცნების" კოალიციაში პირველ ნომრებად არიან სიაში. მათ ჩვენ მხარს არ დავუჭერთ. მე, პირადად, ჩემს სენაკელებს ვპირდებოდი, რომ სამართლიანობა იზეიმებდა რაიონში და დღეს ისევ ეს ხალხი მოვიყვანოთ ხელისუფლებაში? ეს ხომ სამარცხვინო იქნება! ჩვენ მრავალრიცხოვანი აქტივი გვიჭერს მხარს. რა თქმა უნდა ვიზიარებთ მურად შამათავას გადაწყვეტილებას, უკვე დავტოვეთ პარტია და ვაპირებთ ბრძოლის გაგრძელებას. ანალიზი გავაკეთე მე პირადად, რა შემიძლია გავაკეთო ჩემი ხალხისთვის. მიუხედავად იმისა, რომ "ბურჯანაძე–ერთიანი ოპოზიცია" ჩვენი ოპონენტები იყვნენ და გვქონდა აზრთა სხვადასხვაობა, თანახმა ვიყავით, რომ ბურჯანაძე მეორე ადგილზე გასულიყო, ოღონდ "ნაცმოძრაობისთვის" ხმა არ მიეცათ. სამწუხაროდ, არ მოხდა ასე. ალბათ, გარიგება შედგა "ნაციონალებსა" და "ოცნებას" შორის. ხალხიც ასე ფიქრობს, სხვათა შორის. ახლა ვთვლი, რომ ბურჯანაძის ბლოკი სამართლიანობისთვის მებრძოლი ერთადერთი ძალაა დღეს საქართველოში. ქალბატონმა ნინომ ყველაზე კარგად გაუგო ჩვენს გაჭირვებულ მოსახლეობას. ფუფუნებაში გაზრდილმა ქალბატონმა უფრო გაუგო ჩვენს გაჭირვებულ მოსახლეობას, ვიდრე გლეხობაში გაზრდილმა ჩვენმა ყოფილმა ლიდერმა, რომელმაც მილიარდები იშოვა. ნახევარ მილიარდს დებს საბაგირო გზების გაკეთებაში მაშინ, როცა სოლოლაკში ხალხს საცხოვრებელი სახლები თავზე ენგრევა. ფუფუნებაზე მერე ეფიქრა, ჯერ ხალხისთვის მიექცია ყურადღება. ფუფუნებაზე ფიქრობდა სააკაშვილი და როგორც დაამთავრა ხედავთ. ფუფუნებაზე ფიქრობენ დღესაც და ესენიც ისე დაამთავრებენ. ქართველი ხალხი ძალიან მომთმენია, მაგრამ არ ღირს ამ მოთმინების გამოცდა. ხალხი სამართლიანობისთვის ბოლომდე იბრძოლებს"- გვითხრა ზურაბ ფარღალავამ. თანაგუნდელების აზრს იზიარებს და მათთან ერთად დატოვა პარტია პაატა ზარანდიამაც. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა: „ვტოვებ პარტიას, 2012 წლის არჩევნები არჩევნები კი არა, ეს იყო ბრძოლა დამნაშავეთა ხროვის წინააღმდეგ, რომლებიც მოკალათებულნი იყვნენ მთავრობაში. ჩვენ ამ არჩევნებში გავიმარჯვეთ, მაგრამ სამართლიანობის აღდგენას, რაც ერთ-ერთი მთავარი საარჩევნო დაპირება გახლდათ, არ დაადგა საშველი. ის კი არადა, ეს ხროვა გადმოვიდა "ოცნებაში" და ახლა სხვანაირად გველაპარაკებიან, თითქოს ანგელოზები იყვნენ. ამიტომ ჩვენ ვტოვებთ ამ პარტიას გამგეობის ათი წევრით და გადავდივართ პარტიაში "ბურჯანაძე–ერთიანი ოპოზიცია". რევაზ ხულორდავამაც თავისი აღშფოთება გამოხატა საუბარში: „ვისაც ვებრძოდი მთელი ცხრა წლის განმავლობაში, ახლა კოალიციამ სენაკში საარჩევნო სიაში პირველ ნომრებად ჩასვა. არანაირი ადამიანური და მორალური უფლება არ მაქვს, დავდგე ამ ადამიანების გვერდით წინასაარჩევნოდ. გადავწყვიტე დავტოვო პარტიაც და კოალიციაც. ვაპირებ "ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციასთან" ერთად კვლავ სამართლიანობის აღდგენისთვის ვიბრძოლო, რაც ვერ ან არ გააკეთა ოცნებამ". თავის პროტესტს ვალერი მურღულიაც გამოხატავს: „ის უკანონობა, იგნორირება, რომელსაც ახორციელებს კოალიცია, კერძოდ, „თავისუფალი დემოკრატები" იმ მებრძოლი ადამიანების მიმართ, რომელთა ზურგზეც გადაიარა "ნაცმოძრაობის" მმართველობის ცხრა წელმა, ჩვენთვის მიუღებელია. დარწმუნებული ვიყავით, რომ აღსდგებოდა სამართალი, მაგრამ მოლოდინი არ გაგვიმართლა "ქართულმა ოცნებამ". ამას ვამბობ დიდი გულდაწყვეტით, მაგრამ რეალობა ასეთია. მე ვარ საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9"-ის ყოფილი ჟურნალისტი და დაფიქსირებული მაქვს ამ ადამიანების უღირსი, უსირცხვილო ქცევები. „ინფო 9"-ის საიტზე ყველა კადრი და სიუჟეტი დღესაც არსებობს, მაგრამ უშედეგოდ. ამ უკანონობამ გამოიწვია ჩვენი პროტესტი".

ბადრი კალანდარიშვილი ერთადერთი გახლავთ იმ თერთმეტთაგან, რომელიც პარტიის დატოვებას არ აპირებს. როგორც ის ამბობს: "მურად შამათავამ კოალიციას და პარტიას იმედები გაუცრუა. პარტია „თავისუფალი დემოკრატები"კოალიციურ რეჟიმში მონაწილეობს ამ არჩევნებში. ჩვენ გვყავს ორი მაჟორიტარი დეპუტატი, ასევე გვყავს დეპუტატები წარდგენილი პარტიული სიით. ასე რომ, ეს ამ საარჩევნო გარემოს ხელს არ უშლის. რაც შეეხება ბატონ მურადს, ეს არის ვიწრო პარტიული ინტერესი. მან ვერ გაამართლა „თავისუფალი დემოკრატების" მიზნები. მოგეხსენებათ, ის იყო საკრებულოს თავმჯდომარე. ვერ ითამაშა კოალიციურ რეჟიმში. ორჯერ გაათავისუფლეს თანამდებობიდან, რის გამოც პრობლემა შეუქმნა როგორც პარტიას, ისე კოალიციას. არავითარი პარტია არ დაშლილა. მურად შამათავას ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ არ გაატარა საკრებულოში საკადრო ცვლილებები. რაც შეეხება პარტიის ახალ თავმჯდომარეს, ამას კონფერენცია გადაწყვეტს. მანამდე კი, როგორც პარტიის აღმასრულებელ მდივანს, მე მევალება ამ თანამდებობის შეთავსებაც".

განცხადება



ერთად დავდგეთ ჩვენი საყვარელი მსახიობის სენაკელი ლერი ჯალაღონიას სიცოცხლის გადასარჩენად. თუნდაც მცირე შესაწირი შეგიძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშის შემდეგ ნომერზე: ლიბერთი ბანკი 9003723440

ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნო შეხვედრების დროს დევნილებთან დაკავშირებით ხშირად ამბობდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, დევნილებს სახელმწიფო წინსწრებით დაეხმარებოდა. ასევე ისმოდა დაპირებები, რომ სახელმწიფო დევნილებისადმი დამოკიდებულებას შეცვლიდა. ხელისუფლებაში მოსული და აწ უკვე სამოქალაქო სექტორში გადანაცვლებული ივანიშვილი იმასაც ამბობდა, რომ მთავრობა არ იქნებოდა ისეთი მკაცრი და ულმობელი, როგორიც იყო სააკაშვილის მმართველობის პერიოდში.

სენაკში 1 625 დევნილი ოჯახია, რომელიც დღემდე ითხოვს ფართს სახელმწიფოსგან. სენაკში ჯერჯერობით არ არის იმის შესაძლებლობა, დევნილებს შენობა გადაეცეთ საკუთრებაში, ან დაიწყოს მშენებლობა. ამდენად, ამ ეტაპზე სენაკში მცხოვრები დევნილები უნდა გადამისამართდნენ ან ფოთში, ან ზუგდიდში, ან - ბათუმში.

აპლიკაციების შევსების პროცესი დასრულდა ფოთის ახალ რაიონში აშენებულ ბინებზე. როგორ გაგრძელდება ეს პროცესი სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები დევნილებისთვის? რა სახის პროექტების განხორციელება იგეგმება, როდის დაუკანონდებათ დევნილებს წლების წინ მიღებული ფართები და სხვა კითხვებით მივმართეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით განსახლებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო -ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსს ირაკლი ქოჩუას.

_ daaxloebiT weliwadnaxevaria, am Tanamdebobaze muSaobT. ra mdgomareoba dagxvdaT sammarTveloSi da mis gareT devnilebTan mimarTebaSi, risi Secvla SeZeliT, an ver SeZeliT am drois ganmavlobaSi?

– წელიწადზე ცოტა მეტია ამ თანამდებობაზე ვმუშაობ. სამმართველოში ისევე, როგორც მთელს სამინისტროში, იყო უნდობლობა დევნილსა და უწყებას შორის. უწყებაში იგულისხმება სამინისტროც და ადგილობრივი სამსახურებიც. პირველ რიგში,ამ ნდობის აღდგენას ვეცადე. ეს ყველაზე მთავარი გახლდათ და ვთვლი, რომ ნდობა არსებობს. ასპროცენტიანი ნდობა არაფერშია, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში დევნილთა უმრავლესობას სჯერა, რომ აქ მოვა და მიიღებს მართალ პასუხს და არა ტყუილს, არც რაიმე სახის უხეშობას აქვს ადგილი უწინდელივით. დევნილების უმრავლესობამ იმდენი და ისეთი გაჭირვება გამოიარა, ძნელია, სიმშვიდე მოთხოვო. შეიძლება მოვიდეს და უსაფუძვლოდ ხმამაღლაც ისაუბროს, მაგრამ გამორიცხულია, აქ ვინმეს უპატივცემლოდ მოექცნენ. მოუსმენენ, თუ შეიძლება რამის გაკეთება, გაკეთდება, თუ არა და დააკვალიანებენ. ეს უმთავრესია პირველ ეტაპზე, რაც გაკეთდა.

_ ramdeni devnili ojaxia regionSi mTlianad, romelic farTs iTxovs?

– ფართის მთხოვნელთა მონაცემები არ გვაქვს. დავამთავრეთ წინა კვირას აპლიკაციების შევსების პროცესი ფოთის ბინებზე. შემოვიდა 2200 განაცხადი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტს არ უნდა ბინა. პირველი მაისიდან ზუგდიდის ბინებზე ველოდებით ორჯერ მეტ განაცხადს. რაც შეეხება რეგიონს მთლიანად, დაახლოებით, 25 000-მდე დევნილი ოჯახია. შესწავლის პროცესში ვართ და საერთო სურათი არ არის, ვის გააჩნია გაფორმებული და გაუფორმებელი კერძო საკუთრება.

_rodis CaeSveba eqspluataciaSi foTis binebi?

–მაისიდან. სამინისტროში გავაგზავნეთ მონაცემები. იქ ხდება მათი დამუშავება, შესაბამისი ქულების მინიჭება.

–არის თუ არა განსაზღვრული კრიტერიუმები?

–რა თქმა უნდა. სოციალურად დაუცველ, უმწეო დევნილებს, რომელთაც აქვთ 57 ათასზე ნაკლები ქულა ენიჭებათ 3 ქულა. 57-დან 70 ათასამდე ენიჭებათ 2 ქულა, ხოლო 70 ათასიდან 100 ათასამდე - 1 ქულა. პირველი ჯგუფის განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილს ენიჭება 3 ქულა, მეორე ჯგუფისას - 2 ქულა, ხოლო მესამე ჯგუფის მქონეს - 1 ქულა. ქირით მცხოვრებ ოჯახს ენიჭება 1 ქულა. აფხაზეთისა და ცხინვალის ომის მონაწილეს ოჯახს ენიჭება 1 ქულა. ომში დაღუპულის ოჯახს 1 ქულა. სამი მცირეწლოვანი ბავშვი - ერთი ქულა და ყოველ მომდევნოზე ემატება ნახევარი ქულა. ვისაც მეტი ქულა ექნება ჯამში, ის დადგება პირველ რიგში.

_ senakidan ramdeni ojaxia?

– მონაცემები მოკვლევის დასრულების შემდეგ გვექნება. სენაკიდან ბევრი იყო, ფოთიდან, თავისთავად, გაცილებით მეტი გახლდათ მარტვილიდან და შედარებით ნაკლები - ზუგდიდიდან.

_rodis daiwyeba mokvlevis procesi?

–როგორც კი მორჩებიან ქულების მინიჭებას, რაც სამინისტროს პრეროგატივაა. დაახლოებით ორ კვირაში დაიწყება მონაცემების გადაზუსტება ჩვენი სამმართველოს მიერ. სულ 280 ბინაა გასაცემი.

_imedia, binebi ufro xarisxianadaa aSenebuli, vidre wina wlebSi?

–იმედი მაქვს ხარისხის პრობლემა აღარ იქნება. იმიტომ, რომ მშენებარე ბინებია და არა გასარემონტებელი. 7 ხუთსართულიანი კორპუსია ფოთში. ზუგდიდიში 8 კორპუსი შენდება და დიდი ალბათობით 2 დაემატება კიდევ. ეს კორპუსები შენდება თაბუკაშვილისა და ქირიას ქუჩების კვეთაზე. ჯერჯერობით 256 ბინაა, 320 ბინა იქნება 2 კორპუსის დამატების შემთხვევაში. რაც აშენებულია, ხარისხიანადაა აშენებული. ფართებიც ნორმალურია. კრიტერიუმები იქნება იგივე, რაც ფოთის გადასაცემ ბინებთან მიმართებაშია.

_rodis daiwyeba dakanonebis procesi im devnilebisaTvis, romlebmac wlebis win miiRes binebi?

–მომავალი კვირიდან ვიწყებთ ფოთსა და ბათუმში ამ პროცესს. შემდეგ ზუგდიდსა და სენაკში გავაგრძელებთ. არ ვიცი, ეს პროცესი ასე რატომ გაჭიანურდა. ამაზე პასუხი არ მაქვს. რაც შეეხება ბათუმს, ისევ "ბენზეში" 7 ნახევარი ჰექტარი გადმოეცა ჩვენს სამინისტროს და მალე დაიწყება მშენებლობა. ზუგდიდში აშენდება კორპუსები ბარამიას ქუჩაზე 3 ნახევარი ჰექტარი მიწის ნაკვეთზე და ინგირში, ყოფილი ნავთობაზის ტერიტორიაზე 5 ნახევარ ჰექტარზე. საპროექტო სამუშაოები დაწყებულია. 4 000-მდე დევნილი ოჯახი უნდა დაკმაყოფილდეს ამ ბინებით.

_aqvs Tu ara samegreloSi mcxovreb devnils ufleba, baTumis binaze Seitanos ganacxadi?

–რა თქმა უნდა, შეზღუდვა მხოლოდ თბილისზეა. დანარჩენ შემთხვევაში არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. ზუგდიდის შემდეგ გამოცხადდება განაცხადების მიღება ბათუმზე და ყველა მსურველ დევნილს შეუძლია შემოიტანოს განაცხადი.

ᲑᲔᲑᲘᲐᲡ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲘ

ᲛᲐᲠᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

გაზაფხულის მშვენიერ მზიან და თბილ დღეს საგაზეთო სტატიის გასაკეთებლად მიმავალს ერთ-ერთი რესტორნის წინ უჩვეულო ჩოჩქოლი მომესმა. ქუჩაში მდგარ ლამაზად შეფუთულ მანქანასთან რამდენიმე ადამიანი ხმაურობდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა გოგონა აქტიურობდა,რომელიც იქვე მდგომ ქალბატონს დროდადრო ეხუტებოდა და კოცნიდა, თან თვალცრემლიანი სიხარულით დახტოდა. ჟურნალისტურმა და ქალურმა ცნობისმოყვარეობამ ერთდროულად მძლია და ჟრიამულის მიზეზის გაგება გადავწყვიტე. როგორც ახალგაზრდა გოგონას ისე ქალბატონსაც თვალები სიხარულის ცრემლებით ქონდა სავსე. იგი მზია ჩაკვეტაძე აღმოჩნდა რომელმაც საყვარელ შვილიშვილს მარიამ ჩაკვეტაძეს დაბადების დღისა და სკოლის დამთავრების აღსანიშნავად ავტომანქანა აჩუქა და როგორც ჩანს ამ მოულოდნელმა სიურპრიზმა გამოიწვია ასეთი აღფრთოვანება. "თითქოს გუშინ დაიბადა და უკვე სკოლას ამთავრებს. მუდამ მახარებდა თავისი სწავლით,ქცევით,ადამიანობით და გადავწყვიტე დაბადების დღის აღსანიშნავად ასეთი საჩუქარი გამეკეთებინა ჩემი უსაყვარლესი შვილიშვილისთვის. იმედი მაქვს აწიც გამახარებს თავისი წარმატებებით"- გვითხრა ქალბატონმა მზიამ.

ჩვენც ვუერთდებით მას და მარიამს და წარმატებებს ვუსურვებთ ცხოვრების ახალ ეტაპზე.

„ეი პი ემ„ ტერმინალის მონოპოლიური გადაწყვეტილება და სოციალური კრიზისი ქვეყნის საზღვაო კარიბჭედ წოდებულ ქალაქში

ელზა შონია
ფოთი

ფოთში 6000ზე მეტი ადამიანი შესაძლოა უმუშევარი დარჩეს. სწორედ ამასთან დაკავშირებით ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია გაიმართა ფოთში რამდენიმე დღის წინ. 1500-მდე ადამიანი ფოთის ნავსადგურის მფლობელი კომპანიის "ეი პი ემ" ტერმინალის გადაწყვეტილებას აპროტესტებდა. აქციის დღეს ფოთში ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილიც ჩამოვიდა, რომელიც კომპანიების ხელმძღვანელებს და "ეი პი ემ" ტერმინალის წარმომადგენლებს შეხვდა. აქამდე არსებული ცხრა ტერმინალი, რომელშიც 5000 ადამიანია დასაქმებული, შესაძლოა, მიმდინარე წლის 1 მაისიდან დაიხუროს. ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში, კერძოდ ფოთში, ჩამოყალიბდა საზღვაო- საკონტეინერო ხაზებთან ექსკლუზიურად მოძუშავე ფართო ლოჯისტიკური ქსელი, შეიქმნა ახალი ბიზნეს მიმართულება, კეთილმოწყო საბაჟო-სატერმინალო ტერიტორიები, შეიძინეს მრავალპროფილიანი ტექნიკა, შეიქმნა დამატებითი სამუშაო ადგილები. როგორც ცნობილია, ამ კონკრეტული დარგის განვითარებისთვის ქართული კომპანიების მიერ განხორციელებულია 100 მლ აშშ დოლარის ინვესტიცია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხვი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 5000-ზე მეტია, ეს უშუალოდ ინდუსტრიაში, მაგრამ თან მიბმული მომსახურებისათვის დამატებით შეიქმნა კიდევ 1000 სამუშაო ადგილი. იმ პერიოდში, როდესაც "ეი პი ემ" ტერმინალმა შეისყიდა ფოთის პორტი, გადამზიდავებს იმედი მიეცათ, რომ მოწესრიგდებოდა საკონტეინერო გემების ნავმისადგომი მაინც, თუმცა ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. "ეი პი ემ" ტერმინალმა ააშენა საკონტეინერო ტერმინალი არსებული ლოჯისტიკური ქსელის ჩანაცვლების მიზნით. უკვე ცნობილია, რომ ფინანსთა სამინისტრო ფოთის ნავსადგურთან ერთად მუშაობს დამატებითი რეგულაციების პროექტზე. მისი განხორციელების შემთხვევაშიც კი, მიმდინარე წლის მაისიდან ფოთში საკონტეინერო საზღვაო ხაზებით ჩამოტანილი კონტეინერების მიღება გემიდან აეკრძალება ყველა საკონტეინერო ტერმინალს, რაც ავტომატურად გულისხმობს გემიდან კონტეინერების ექსკლუზიურ მოხვედრას "სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის "ეი პი ემ" ფოთის კერძო ტერმინალში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დასაქმებულებს და დამსაქმებლებს ერთი საერთო ინტერესი აქვთ - გადაარჩინონ საკუთარი საქმე და სამუშაო ადგილები. "ის გეითს გრუპის" გენერალური დირექტორი კოტე მესხი "ეი პი ემ" ტერმინალის მხრიდან მონოპოლიაზე საუბრობს, როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა: ""ეი პი ემ" ტერმინალს უნდა გაეუმჯობესებინა მდგომარეობა სატერმინალო გადაზიდვების კუთხით, უნდა გაეკეთებინა რეალური საქმე, მაგრამ მათ გააკეთეს ტერმინალი, რომლის მსგავსი უკვე 9 არის ფოთში. წინა ხელისუფლების დროს სიტყვიერი მითითებით ყველას გვიბრძანეს, მანქანები მათ ტერმინალზე შეგვეყვანა, გვემუქრებოდნენ დაჭერით, შედგა თაღლითური მოლაპარაკება და 700 ადამიანი დარჩა მაშინ უმუშევარი. როგორც დღეს ირკვევა ეს არ იკმარეს და 2011 წელს გააფორმეს ხელშეკრულება რითაც მოინდომეს მთლიანად ყველაფრის წაღება. ჩვენს ტერმინალებზე ათასობით ადამიანია დასაქმებული, ყველა მათგანს აქვს დაზღვევა, ერთი ადამიანი ინახავს მთელ ოჯახს. იმის მაგივრად რომ შეექმნათ ახალი სამუშაო ადგილები, მონოპოლიურად სურთ, მიიტაცონ ყველაფერი. ადებენ იმხელა ფასს, რომ ჯერ თუ მათთან შევა კონტეინერი, მერე არავინ შემოიტანს ჩვენთან, იკარგება კონკურენცია. მანქანები რომ გაიყვანეს ჩვენგან, უკვე 300 ლარითაა გაძვირებული. იგივეს გააკეთებენ ახლაც. იმედი გვაქვს, მთავრობა დაგვეხმარება. რომ გამოგვეხმაურნენ, კარგია, თუ შედეგი არ ექნება მოლაპარაკებებს, გამოვა მთელი ფოთი, 20 ათასი ადამიანი რჩება მშიერი. მას ემატება ბანკები, ყველას აქვს კრედიტები აღებული, ჩვენც, ტერმინალებს, გვაქვს კრედიტები და ასე ვმუშაობთ, ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია".

ფოთში მერიის შენობაში შედგა შეხვედრა ტერმინალების დირექტორებს, ადგილობრივ ხელისუფლებასა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს დიმიტრი ქუმსიშვილს შორის. როგორც ცნობილი გახდა, მოლაპარაკებები კიდევ გაგრძელდება. მანამდე კი, "ის თი ეს ჯგუფის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მთავრობა შეძლებს ამ საკითხების მოგვარებას: "ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ჩამოვიდა, გამოეხმაურა ფოთელების სამართლიან მოთხოვნას. მეც იმიტომ ჩამოვედი, რომ 20 წელია, ამ ხალხთან ერთად ამ ინდუსტრიას ვქმნი. ერთი ხელის მოსმით ამ ყველაფრის განადგურება და ამდენი ადამიანის უმუშევრად დატოვება არ გამოვა. შესაბამისად, გამოეხმაურა ეკონომიკის სამინისტრო ამ თემას, შედგა დამაიმედებელი მოლაპარაკება, გაგრძელდება კიდევ საუბარი თვითონ ნავსადგურთან, შემდეგ თბილისში ერთი-ორი კვირის განმავლობაში იქნება მოლაპარაკებები და ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი დასრულდება ჩვენი სწორი, მოთხოვნების დაკმაყოფილებით".

მოლაპარაკებიდან გამოსვლის შემდეგ კომენტარი გააკეთა ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილმაც: "თითქმის ორი თვეა, ჩართულები ვართ ამ პროცესში, გულისყურით ვსწავლობთ სიტუაციას, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია დასაქმებულთა ბედი. კარგად გვესმის, რომ ყოველი სამუშაო ადგილი არის დაპურებული ოჯახი, ჩვენ მოვისმინეთ ის მოთხოვნები, რაც ტერმინალების მფლობელებს გააჩნიათ, ვისაუბრეთ კომპრომისულ სიტუაციებზე, რომელიც შეიძლება განვითარდეს. უკვე გვქონდა რამდენიმე შეხვედრა "ეი პი ემ" ტერმინალის წარმომადგენლობასთან. მათგან მოვისმინეთ მათი ბიზნესის განვითარების პერსპექტივები. ჩვენ კიდევ ერთხელ გავივლით მათთან ერთად კომპრომისულ ვარიანტებს, რომელმაც უნდა მოგვცეს არსებული სამუშაო ადგილებისა და ბიზნესის შენარჩუნების შესაძლებლობა და ასევე, ფოთში ტვირთბრუნვის გაზრდისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. "ეი პი ემ" ტერმინალმა ერთის მხრივ გაზარდოს და განავითაროს თავისი ბიზნესი, მეორეს მხრივ არსებული ბიზნესები დარჩნენ და განაგრძონ თავიანთი საქმიანობა. იმედი მაქვს, დასაქმებულები გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას, მღელვარებისათვის მიზეზი ცოტაა. მოვუწოდებ ყველას, დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაოს, ყველა საათი ჩვენი ეკონომიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია".

ლოჯისტიკურმა კომპანიებმა ოფიციალური წერილით მიმართეს საქართველოს პრემიერ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს: "საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მასშტაბური და, შეიძლება ითქვას, სისტემური უგულვებელყოფის გამო ჩვენ, სატერმინალო ლოჯისტიკური მომსახურების დარგის წარმომადგენლები, იძულებულები ვართ, საჯარო ფორმით მოგმართოთ იმ იმედით, რომ პირადად დაინტერესდებით ჩვენს დარგში არსებული უმწვავესი პრობლემებით და ქმედით ზომებს მიიღებთ მათ გადასაჭრელად. საქმე ის გახლავთ, რომ მას შემდეგ, რაც წინა ხელისუფლება იმ მოტივით, რომ განეხორციელებინა კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთების საბაჟო ფორმალობების პროცედურების გამარტივება, ერთი ფანჯრის პრინციპით, პარალელურად დაადგა ამ დარგის მონოპოლიზაციის გზას კონკრეტული ინტერესთა ჯგუფების სასარგებლოდ. არსებულის განხორციელება დაგეგმილია ერთის მხრივ სახელმწიფოს მიერ კერძო ტერმინალის სასარგებლოდ, საკანონმდებლო დონეზე ცვლილებების შეტანით ან შიდაუწყებრივი რეგულაცია-ბრძანების მეშვეობით და მეორეს მხრივ, ფოთის ნავსადგურის, როგორც ბუნებრივი მონოპოლისტის, მიერ იმდაგვარი სატარიფო რეგულაციის შექმნით, რომელიც სრულად გამორიცხავს კონკურენციას ამ დარგში და ბაზარზე დარჩება მხოლოდ ერთი ტერმინალი, რომელიც მხოლოდ ფოთის ნავსადგურის სტრუქტურის განუყოფელი ნაწილი იქნება. ეს არის ბუნებრივი მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აშკარა მაგალითი. თუ ზემოაღნიშნული განხორციელდა, ამას ნამდვილად მოჰყვება ლოჯისტიკურ კომპანიებში დასაქმებულთა უკიდურესად მწვავე პროტესტი, მივიღებთ გაუქმებულ უამრავ სამუშაო ადგილს და ზოგადად ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის დონის დაცემას. ბატონო პრემიერ მინისტრო, პარლამენტის თავმჯდომარე, მოგმართავთ თხოვნით, პირადად ჩაერიოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში, რაც იმედს ჩაგვისახავს, რომ დარგი გადაურჩება განადგურებას და თავიდან იქნება აცილებული მწვავე სოციალური აფეთქება განსაკუთრებით ფოთის რეგიონში"- ასეთია წერილის შინაარსი, რომელსაც ხელს აწერს 41 ლოჯისტიკური კომპანია.

განსხვავებული პოზიცია აქვს ამ საკითხზე "ეი პი ემ "ტერმინალის ადმინისტრაციას. ისინი თვლიან, რომ ნავსადგურში შემოსული ყველა კონტეინერის "ეი პი ემ" ტერმინალის ბაზაში შეტანით ბიზნესის მონოპოლიზება არ ხდება. როგორც "ეი პი ემ"-ის წარმომადგენელი მარიკა ნადარაია ამბობს:" ფოთის ნავსადგურის მოდერნიზება და ინვესტიციის განხორციელება გახლავთ "ეი პი ემ" ტერმინალის პირობა სახელმწიფოს წინაშე. გამომდინარე აქედან, "ეი პი ემ" ტერმინალი ახორციელებს 90 მილიონი დოლარის ინვესტიციას იმისათვის, რომ ფოთის ნავსადგური იყოს უფრო კონკურენტუნარიანი და უფრო ეფექტური. ეს არ არის მონოპოლისტური მდგომარეობა, ეს არის მსოფლიოში მიღებული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ფოთის ნავსადგურში შემოსული კონტეინერი გადაიტვირთება ნავსადგურის საკუთრებაშივე არსებულ ტერმინალზე, საიდანაც ნავსადგური გასცემს კონტეინერს ნებისმიერ კლიენტსა და კომპანიაზე".

აღნიშნულ თემაზე კომენტარი გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ფრაქცია "ნაციონალის" წევრმა მაგდალინა მენაბდემ: " ეი პი ემ" ტერმინალი გლობალური გადამზიდი კომპანიაა, საქართველოში ასეთი მასშტაბების ინტერკონტინენტალური კომპანიის შემოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ფოთის განვითარების, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით. იმ პორტებში, სადაც ამ კომპანიის გემები შედის, უსაფრთხოების გარანტიები მეტად დაცულია, ამ კომპანიამ დაიწყო ფოთის პორტის ექსპანსიური განვითარება, მან გაზარდა ფოთის ნავსადგურის ტერიტორია 10 ჰექტარით, 2012 წლის არჩევნების მერე მოხდა პატარა გადამზიდავი ფირმების ასიმილაცია, თუ დღეს 5 ათასი სამუშაო ადგილი დაიკარგება, ეს არის ძალიან მძიმე, მთავრობამ უნდა მოახერხოს რაიმე გზით ეს პრობლემა მოაგვაროს ისე, რომ პორტიც განვითარდეს და არ დაზარალდნენ დასაქმებულები".

აქტიურად არის ჩართული პროცესებში საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირებიც. ჯერჯერობით ყველა ელოდება თბილისში გასამართ მოლაპარაკებათა შედეგებს, მანამდე კი ფოთში არსებული ცხრავე ტერმინალი 1 მაისამდე შეძლებისდაგვარად აგრძელებს ფუნქციონირებას.

ღია ტურნირი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

ᲛᲐᲠᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ



ფოთში ბერძნულ–რომაულ და თავისუფალი სტილის ჭიდაობაში 1997-99 და 2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის ღია ტურნირი ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების 12 –მა ნაკრებმა გუნდებმა. აღნიშნულ ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა მოჭიდავეებმა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ბერძნულ–რომაული ჭიდაობაში მიღებული შედეგები ასე გამოიყურება: პირველ ადგილებზე 46კგ. წონით კატეგორიაში ანდრო არზიანი და გიორგი შაკაია (66კგ.) გავიდნენ; მეორე ადგილები 23კგ. წონით კატეგორიაში ლევან გოგუამ, საბა ხელაიამ (29კგ), გია კუჭავამ (38კგ.), გიგა ხარაიშვილმა (46კგ.), ლუკა გადელიამ (50კგ.) თორნიკე გადელიამ (70კგ.) დაიკავა; მესამე ადგილებზე მალხაზ ხელაია (23 კგ.) ნიკა აბშილავა (26კგ); გოგა ცატავა (35კგ); ოთიკო ოჩიგავა (58კგ.) ლუკა ხორავა (+70კგ.) გავიდნენ;

ფოთელი მოჭიდავეები ასევე მონაწილეობდნენ ჩხოროწყუში გამართულ ოლიმპიური ჩემპიონის რომან რურუას სახელობის რესპუბლიკურ ტურნირში ბერძნულ–რომაულ ჭიდაობაში, სადაც პირველი ადგილები მალხაზ ხელაიამ (23კგ. წონით კატეგორიაში) და გია კუჭავამ (38კგ.) მოიპოვეს; მეორე ადგილზე გოგა ხარაიშვილი (53კგ.) გავიდა.

ხოლო თავისუფალი სტილის ჭიდაობაში ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველ ადგილებზე 23კგ. წონით კატეგორიაში მალხაზ ხელაია, ჯაბა თურქია (32კგ.), რომან ნოდია (69კგ) გავიდნენ. მეორე ადგილების მფლობელნი ბექა სანაია (42კგ.) და ვიტალი ქაქუთია (32კგ.) გახდნენ, მესამე ადგილები საბა გადელიამ (32კგ.), ლუკა გადელიამ (50კგ.), თემურ ჭაფანიძემ (46კგ.), ოთარ ოჩიგავამ (58კგ.) დაიკავეს.

საერთაშორისო ტურნირი ,,შოტოკან კარატე-დო,,-ში

რამდენიმე დღის წინ თურქეთის ქალაქ ტრაბზონში შოტოკან კარატე–დოში საერთაშორისო ტურნირი „ოპენ ტრაბზონი'' ჩატარდა, სადაც ფოთელი კარატისტები წარმატებით გამოვიდნენ. პირველი ადგილები საბა ცაავამ (10-11წ.), გურამ ჯიჯელავამ (14-15წ), თეონა სულამანიძემ (16-21წ). „კუმიტე''-ში მეორე ადგილებზე გურამ ჯიჯელავა (14-15წ.), ინა ჩხარტიშვილი (12-13წ.) და ვერიკო ლომია (12-13წ.) გავიდნენ

ფოთში ხელბურთის კლუბი ,,ოქროს ვერძი,, გაიხსნა

რამდენიმე დღის წინ, ფოთში ხელბურთის კლუბი "ოქროს ვერძი" გაიხსნა. იდეის ინიციატორი მერიის სპორტის სამსახური გახლავთ. მსგავსი კლუბის გახსნა პირველი პრეცედენტია ფოთში, კლუბს ხელბურთის სკოლის დირექტორი დარეჯან გეფერიძე უხელმძღვანელებს, ხოლო სპორტული დირექტორი რეზო კუცია იქნება. როგორც ვიცით, ქალაქის დაფინანსებით სპორტსმენები 17 წლამდე თამაშობდნენ, ხოლო შემდეგ ისინი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გადადიოდნენ სათამაშოდ. კლუბის შექმნით კი მათ შესაძლებლობა ექნებათ, ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად. საფეხბურთო კლუბ "კოლხეთის" მაგალითზე შესაძლებელი გახდება სპორტსმენების აღზრდა. ფოთს უკვე წლებია აქვს ხელბურთის უძლიერესი სკოლა, რომლის აღზრდილი სპორტსმენები უჩა გამზარდია, თორნიკე ნემსაია, ომიკო ალანია, უჩა ხუნჯუა და სხვები თამაშობენ თბილისის, ბათუმის გუნდებში. ამ და სხვა ხელბურთელთა ბაზაზე მაისის ბოლოდან ფოთს უკვე ეყოლება საკუთარი ხელბურთელ ვაჟთა გუნდი "ოქროს ვერძი". კლუბის ხელმძღვანელი დარეჯან გეფერიძე როგორც ამბობს: "ჩამოყალიბდა ხელბურთის კლუბი, სადაც გაერთიანდებიან როგორც ბავშვები, ისე მოზრდილები. კლუბი ჯერჯერობით გამოიყვანს ორ ვაჟთა და ორ გოგონათა გუნდს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. სექტემბრიდან კი კლუბს დაემატება ვაჟთა გუნდი, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზებს. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი მარაგი ახალგაზრდებისა, რომლებიც სხვადასხვა გუნდებში თამაშობენ და მათ მიეცემათ საშუალება, უკვე თავიანთი ქალაქი ასახელონ. ყველაფერი ეს კეთდება ხელბურთის განვითარებისათვის".

უკვე ცნობილია, რომ ქვეყანაში შემუშავებულია ხელბურთის განვითარების 5 წლიანი გეგმა. კლუბის განვითარებისათვის ჩადებულია 50 ათასი ლარი 2016 წლამდე, ხოლო შემდეგ ეს თანხა 80 ათას ლარამდე გაიზრდება. ფოთის ხელბურთის კლუბი წელს ვაჟთა გუნდს ჩამოაყალიბებს, 2016 წელს კი უნდა ჰყავდეს ქალთა გუნდიც. რაც შეეხება დარბაზს, სავარაუდოდ, ხელბურთის კლუბის დარბაზი განთავსდება მშენებარე სპორტის სასახლეში. წელს შეიძლება მოხერხდეს ბავშვთა ასაკობრივი გუნდების გაყვანა სათამაშოდ თურქეთის გუნდებთან.

როგორც გავიგეთ ახლო მომავალში შედგება კლუბის ლოგოს პრეზენტაცია, მიმდინარეობს კლუბის ვებ-გვერდზე მუშაობა. როგორც გვპირდებიან, კლუბი იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი.

ტურნირი ძიუდოში ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის

ᲛᲐᲠᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

რამდენიმე დღის წინ ზუგდიდმა ახალგაზრდებში ჭიდაობა „ძიუდოში" სამეგრელო ზემო–სვანეთის პირველობას უმასპინძლა, სადაც სამი პირველი ადგილი ფოთელმა ძიუდოისტებმა დაიკავეს. პირველი ადგილები ჯეირან წულაიამ (55კგ. წონით კატეგორიაში), ანზორ მაჩიტაძემ (60კგ.) და გაგა სამინავამ (100კგ.) დაიკავეს. ფოთელი ძიუდოისტები ასევე ასპარეზობდნენ წყალტუბოში ჩატარებულ მე–10 რესპუბლიკურ ტურნირში ჭიდაობა ძიუდოში ჭაბუკებს შორის, სადაც გამარჯვებული გახდა გიორგი ნარსია 50კგ. წონით კატეგორიაში.

საქართველოს ჩემპიონატი სამბოში

გასულ კვირას ქუთაისში კრივში ჭაბუკებს შორის, საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა მოკრივეებმა, რომლებმაც სამი პირველი და ორი მეორე ადგილი მოიპოვეს. პირველი ადგილები გიორგი ჩარგაზიამ (48კგ. წონით კატეგორია), დავით ჯიჯელავამ (50კგ.) და გიორგი მანჯავიძემ (52კგ.) დაიკავეს. მესამე ადგილების მფლობელები ბორის შურდაია (50კგ. წონით კატეგორია) და ბაჯო ხუციშვილი (57 კგ.) გახდნენ.

ფოთელი სამბისტები ასევე ასპარეზობდნენ ბოლნისში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც წარმატებით გამოვიდნენ. პირველი ადგილები დავით დგებიამ (29კგ), ჯაბა თურქიამ (35კგ.), ბექა სანაიამ (42კგ.), ანდრო არზიანმა (45კგ.) დაიკავეს; მეორე ადგილზე ირაკლი შეყილაძე (35კგ.) გავიდა; მესამე ადგილის მფლობელი ვიტალი ქაქუთია (38კგ.) გახდა.

ფოთელი ხელბურთელები საქართველოს

2-3 აპრილს თბილისში ხელბურთში 2000-2001 წლებში დაბადებულ უმცროსი ასაკის გოგონათა შორის საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატის დასკვნითი ტურების მატჩები გაიმართა, სადაც ფოთელმა ხელბურთელებმა ჩაატარეს ოთხი შეხვედრა. დასკვნით ტურებში მიღებული შედეგები ასეთია:

„ოქროს ვერძი" ფოთი — „ქარიშხალა" თბილისი – 9 : 7

„ოქროს ვერძი" ფოთი — „ყვარელი" – 15 : 3

„ოქროს ვერძი" ფოთი — „ იმედი" თბილისი – 19 : 3

ხოლო გადამწყვეტი მატჩში ფოთის გუნდმა თბილისის „მამული" 9 : 8 დაამარცხა. რითაც დააგროვა 8 ქულა და მოიპოვა პირველი ადგილი. ფოთისა და „მამულის" ნაკრები გუნდები იქნებიან მთავარი ფავორიტები უფროსი ასაკის გოგონების (1998–99წწ.) ტურნირშიც, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში გაიმართება.

უნდა აღინიშნოს, რომ ასევე დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ხელბურთში 2000-2001 წწ დაბადებულ ვაჟებს შორის, ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლაში ფოთელი ხელბურთელები დაუპირისპირდნენ თბილისის „ქარიშხალას" გუნდს და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 20:14 და დაიმსახურეს ბრინჯაოს მედლები. გუნდი ჩემპიონატისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა დარეჯან გეფერიძემ და თემურ ჭანტურიამ.

ახალშობილები

ფოთის სამშობიარო სახლი

ნიკოლოზ ჩოჩია 45 სმ, 2,300კგ
დაიბადა 1 მაისს

მათე ნოდია, 50 სმ, 3,100 კგ
დაიბადა 30 აპრილს

ნინო სარჯველაძე 52 სმ, 3,300კგ
დაიბადა 1 მაისს

მარიამ გვაზავა 50სმ, 3,200 კგ
დაიბადა 30 აპრილს

ეს საინტერესოა

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისას ადამიანის თმა 725 კილომეტრის სიგრძის იზრდება

დაცემინებისას ყველა ორგანოს ფუნქციონირება ჩერდება - გულისაც კი. გველს შეუძლია იძინოს სამი წლის განმავლობაში.

ერთი მილიარდი წამი დაახლოებით 37 წელიწადია.

ქამელეონის ენა მის სხეულზე ორჯერ დიდია

სახეზე ფერიმჭამელების მოშორება შესაძლებელია ნებისმიერი ანტიბიოტიკის (ასპირინი, სუპრასტინი) საშუალებით - თუ დაფხვნილ აბს დავუმატებთ წვეთ წყალს.

ერთადერთი ჩიტი, რომელსაც უკუღმა ფრენა შეუძლია, არის კოლიბრი არწივები ჰაერში წყვილდებიან.

ანეკდოტები

გურულმა, როგორც იქნა, დაარწმუნა კომისარიატის ექიმი, რომ მხედველობა არ უვარგოდა და იმ საღამოსვე კინოში შევიდა ახალი ამერიკული ფილმის სანახავად. ფილმი დაიწყო და, ჰოი, საოცრებავ! ეს ექიმი გვერდით არ უზის?! გურული არ დაბნეულა, მიუბრუნდა ექიმს და ეკითხება:
- უკაცრავად, ბატონო, აი ავტობუსი ჩოხატაურში ხომ გეიარს?

* * * * * * * * * * * * * * * * * *

გურულს დაპატიჟებენ კახეთში ქელეხზე. გადახედავს სუფრას და გადაირევა - ხაშლამა, შილაფლავი, მწვადი, შემწვარ-მოხრაკული... აღფრთოვანებული წამოიძახებს:
-ა, ძამა, ხალხი! ა, ძამა, სუფრა! რა უნდა კტარს გურიაში?! კტარი სულ კახეთში უნდა იყოს!

* * * * * * * * * * * * * * * * * *

გურული მატარებლით მგზავრობს. ხედავს, რომ მის წინ მჯდომი ქალი ძალიან ნერვიულობს.
- რა განერვიულებთ, ქალბატონო?
- ჩემი ქმარი ჟურნალის საყიდლად ჩავიდა, მატარებელი დაიძრა და ის დარჩა. რა მეშველება ახლა მე?-აქვითინდა ქალი.
- ეუჰ, მაგიზა დარდობთ?! მაი აფერი, აგერ მე გათხუებ ჟურნალს.

* * * * * * * * * * * * * * * * * *

მეგრელმა და გურულმა პლაჟზე ნახეს განცხადება: "ვინც დამხრჩვალს გადაარჩენს, პრემია 50 ლარი" მეგრელი ეუბნება: მიდი, ბიჭო, ჩახტი ახლა, ვითომ იხრჩობი, მე გადაგარჩენ და ფულს ვიშოვით. გურული მართლაც ჩახტა და ყვირის:
-მიშველეთ, მიშველეეთ! მეგრელმა დაუძახა:
-ბიჭო, ნუ ყვირიხარ და ჩეიძირე, აქ წერია "ტრუპის" ამოყვანა ასი ლარიო.

* * * * * * * * * * * * * * * * * *

სვანი ცოლს მოიყვანს და როცა განმარტოვდებიან ეკითხება:
– ქალწული ხარ?
– არა-პასუხობს ცოლი.
ამოიღებს სვანი ხანჯალს და მოუქნევს
ქალი კვდება და განწირული ხმით ამბობს:
– თხის რქა ვარ. .

* * * * * * * * * * * * * * * * * *

სვანები 99-ე სართულზე ფეხბურთს თამაშობენ და ბურთი გადაუვარდებათ. ყველანი კიბით ჩავლენ ამოსატანად. სახურავზე მარტო ერთი სვანი დარჩება, რომელიც პირდაპირ გადახტება და ასფალტს დაენარცხება. კიბით ჩასულები მისცვივდებიან მიცვალებულს და
ურტყამენ, რაც ძალა და ღონე აქვთ:
მოკლე გზა თუ იცოდი, ჩვენ რატომ არ გვასწავლეო?!

* * * * * * * * * * * * * * * * * *

სამი სვანი სადგურიდან ახლად დაძრულ მატარებელს მისდევს. ორი შეახტება, ერთი ვერ დაეწევა, დგას და იცინის. სადგურის მორიგე ეკითხება:
- რა გაცინებს?
- ის ორი მე მაცილებდა!

* * * * * * * * * * * * * * * * * *

სვანი სახლში ახალ ავეჯს დგავდა ძველს კი ფანჯრიდან ჰყრიდა. მეზობელი ეუბნება:
- ვინმეს არ დაეცეს, სანამ გადააგდებ დაიყვირე მაინც.
სვანმა უპასუხა:
- მე რა მაქვს საყვირელი. ვისაც დაეცემა იმან იყვიროს

* * * * * * * * * * * * * * * * * *

რაჭველი აღსარებაზე მივიდა ეკლესიაში.
-შევცოდე მამაო.
-რა შვილო ჩემო?
-მეგრელი მოვატყუე.
-ეგ ცოდვა კი არა, სასწაულია შვილო ჩემო.

გაზეთის ხელმოწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება
ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის
გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი ეთვალი თვალსაზრისი

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს დისტრიბუტორად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაგეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაგეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 341417,

ეთვალი თვალსაზრისი *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.